ხელშეკრულება №67

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსის - ტესტირების ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი „16“„ აპრილი“ 2015 წ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.1.4. “მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.1.5. “დღე“, “კვირა“, “თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1. ერთი მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ტარიელ ებრალიძის სახით (შემდგომში - “შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გურამ სალუქვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით, ტესტური დავალებების შემუშავება და გამოცდის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: CPV79600000 - საქმიანობის შედეგების შეფასება), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^{1} მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩატარების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის №1536 განკარგულების შესაბამისად.

4. მომსახურების ოდენობა, სახეობა, მიწოდების პირობები და ვადები

4.1. „მიმწოდებელი“ საკუთარი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს "შემსყიდველისათვის" ტესტური დავალებების შემუშავებას (ქართულ ენაზე) საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებაში მითითებული თემატიკისა და რაოდენობების შესაბამისად. საგამოცდო ტესტების თემატიკა გამომდინარეობს 1. საქართველოს კონსტიტუციიდან 5 (ხუთი) დავალება; 2. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიიდან 5 (ხუთი) დავალება; 3. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან 20 (ოცი) დავალება; 4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან 5 (ხუთი) დავალება; 5. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან 10 (ათი) დავალება და 6. უნარ-ჩვევების ნაწილიდან 15 (თხუთმეტი) დავალება.

4.2. მომსახურება გაწევა განხორციელდება ელექტრონულად, სპეციალური პროგრამის გამოყენებ

4.3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4.4. ტესტირება ჩატარდება 2015 წლის 18-19 აპრილს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად მომზადებულ ადგილას. საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა და ტესტირების ჩატარების დრო განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველთან დამატებითი წერილობითი შეთანხმების გარეშე, რომელიც ტესტირებამდე ეცნობება შემსყიდველს შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: shuakhevi.konkursi@gmail.com.

4.5. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს Excell-ის ფორმატში მიაწოდოს იმ პირთა ინფორმაცია, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ ტესტირება, სადაც მითითებული უნდა იყოს კანდიდატის სახელი და გვარი, პირადი ნომერი (11 ნიშნა), ტელეფონის ნომერი (სიაში მითითებული კანდიდატებისა და მათი მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია შემსყიდველი). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.6. თითოეული კანდიდატი დამატებით იქნება ინფორმირებული ტესტირების დროის და ადგილის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებით (რომელიც გაიგზავნება მის ტელეფონის ნომერზე). სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი არ აგებს პასუხს იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური შეტყობინებების გაგზავნა ვერ ხდება მობილური ტელეფონის ნომრის არასწორად მოწოდების ან ტელეფონის/ქსელის გაუმართაობის გამო.

4.7. ტესტირების დროს საგამოცდო ცენტრში დასაშვებია მხოლოდ იმ პირების ყოფნა, რომელთაც აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი. ამ პირების საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტესტირების მიმდინარეობას, მათ ეკრძალებათ ტესტის შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტების დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შემლა.

4.8. ტესტირების შედეგების გასაჩივრების მიზნით, დაწესებულებაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც შესაბამისი ტესტირების პროცესის დასრულებიდან (ტესტირების ჩატარების დღიდან) 3 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებებს. საჩივარი ტესტირებაში მონაწილე პირმა საპრეტენზიო კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი ტესტირების ჩატარების დღიდან ერთი კალენდარული დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში აწვდის შემსყიდველს.

4.9. ცენტრი უზრუნველყოფს ტესტირების მიმდინარეობაზე დაკვირვებას ვიდეო – აღჭურვილობის მეშვეობით.

4.10. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის ან/და სხვა რაიმე ტექნიკური პრობლემის არსებობის გამო ვერ ჩატარდება ტესტირება დადგენილ თარიღებში, ტესტირებისათბის გამოიყოფა დამატებითი დღე.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ჯამური ღირებულება შეადგენს 603 (ექვსასსამი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2. მომსახურების ღირებულება ერთ კანდიდატზე შეადგენს 9 (ცხრა) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.3. თანხის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია შემდეგი მაჩვენებლები:

ა) გამოცდაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა (67 აპლიკანტი);

ბ) გამოცდის ჩატარების ადგილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. "მიმწოდებელი" ფაქტობრივად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6.4. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი" გაწეული მომსახურების თაობაზე „მიმწოდებელთან" მომსახურების მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველი"-ს მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებლემა" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.1.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ტესტირების მიმდინარეობისა და საპრეტენზიო განცხადებების განხილვის დროს უშუალოდ არ ჩაერიოს საგამოცდო პროცესში.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

8.2.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.3. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ტესტირების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9.2.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები;

9.2.3. ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

9.2.4. უშუამდგომლოს მიმწოდებელს მუნიციპალიტეტში არსებულ დაწესებულებებთან, შესაბამისად აღჭურვილი ფართის გამოყოფის თაობაზე;

9.2.5. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება მეწყდება და მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე [illegible] წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ 10 (ათი) დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების მესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშვებათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთ-ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში) შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: **შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ჯიმშერ აბაშიძე.**

15.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მესრულებული სამუშაოს კონტროლი.

15.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება, და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. ინტერესთა კონფლიქტი

19.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

20.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი იწახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

20.3. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, დადებული ცალკეული შეთანხმებები (დანართები) წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათზე სრულად ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

21. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
შუახევის მუნიციპალიტეტი
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ. №30
ს/კ: 247865145
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა №GE24LB0120124700733005

„მიმწოდებელი"
სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა №9
ს/კ: 202198727
სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში - 707627112.

გამგებელი:

ტარიელ ებრალიძე

დირექტორის ნოვალეობის შემსრულებელი:

გურამ სალუქვაძე